ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ
მეცნიერებათა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს
2017 წლის 30 მარტის სხდომის

ოქმი#2

სადისერტაციო საბჭოს სხდომას 47 წევრიდან ესწრებოდა 24 წევრი

დღის წესრიგი

1. გენდერის კვლევის სადოქტორო პროგრამის დოქტორანტ **სალომე ცოფურაშვილისთვის** დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების საკითხი;
2. პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო პროგრამის დოქტორანტ **ინგა ცინცქილაძისთვის** დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების საკითხი;
3. პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო პროგრამის დოქტორანტ **ჯაბა ურუტაძისთვის** დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების საკითხი;
4. კონფლიქტების ანალიზისა და მართვის სადოქტორო პროგრამის დოქტორანტ **სოფიო გუგუნავასთვის** დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების საკითხი;
5. სოციოლოგიის სადოქტორო პროგრამის მეექვსე სემესტრის დოქტორანტ მარინე ქევხიშვილისთვის სადისერტაციო თემის მეორე ხელმძღვანელის დანიშვნა.
6. პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო პროგრამის დოქტორანტ **გიორგი მელიქიძისთვის სადისერტაციო** ნაშრომის შემფასებლების გამოყოფა.
7. დოქტორანტების თემებისა და ხელმძღვანელების დამტკიცება
8. მიმდინარე საკითხები

მოისმინეს: 1. სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ, ალექსანდრე კუხიანიძემ საბჭოს წევრების წინაშე დააყენა გენდერის კვლევის სადოქტორო პროგრამის დოქტორანტ სალომე ცოფურაშვილისთვის გენდერის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების საკითხი.

აზრი გამოთქვეს: ასოცირებულმა პროფესორმა ს. დუნდუამ.

ს. დუნდუამ განაცხადა, რომ სალომე ცოფურაშვილის დისერტაციის დაცვამ წარმატებით ჩაიარა. შესაბამისად, იგი მომხრეა, ს. ცოფურაშვილს მიენიჭოს გენდერის დოქტორის აკადემიური ხარისხი.

დაადგინეს: 2017 წლის 17 იანვრის სადისერტაციო კომისიის დასკვნის საფუძველზე, გენდერის კვლევების სადოქტორო პროგრამის დოქტორანტ **სალომე ცოფურაშვილს** (თემა: "ქალთა რეპრეზენტაციის მოდიფიკაცია 1920-იანი წლების ქართულ მუნჯ ფილმებში: ორიენტალიზაცია, აგენტობა და კლასი"; სამეცნიერო ხელმძღვანელი პროფესორი დენის იანგბლოდი; შეფასება magna cum laude) მიენიჭოს გენდერის დოქტორის აკადემიური ხარისხი.

მოისმინეს: 2. ალ. კუხიანიძემ საბჭოს წევრების წინაშე დააყენა პოლიტიკის მეცნიერების მართვის სადოქტორო პროგრამის დოქტორანტ ინგა ცინცქილაძისთვის პოლიტიკის მეცნიერების დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების საკითხი.

აზრი გამოთქვეს: პროფესორმა: გ. გოგსაძემ;

გ. გოგსაძემ განაცხადა, რომ, იგი როგორც ცინცქილაძის სადისერტაციო კომისიის ერთ-ერთი წევრი, ადასტურებს, რომ დაცვამ ჩაიარა ყველა ნორმის დაცვით და იგი თანახმაა, დოქტორანტს მიენიჭოს პოლიტიკის მეცნიერების დოქტორის აკადემიური ხარისხი.

დაადგინეს: „პოლიტიკის მეცნიერების" სადოქტორო პროგრამის 2017 წლის 20 იანვრის სადისერტაციო კომისიის დასკვნის საფუძველზე, „პოლიტიკის მეცნიერების"' სადოქტორო პროგრამის დოქტორანტ **ინგა ცინცქილაძეს** („დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარების საკითხი საქართველოში ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ჭრილში". ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი სალომე დუნდუა; შეფასება magna cum laude) მიენიჭოს პოლიტიკის მეცნიერების დოქტორის აკადემიური ხარისხი.

მოისმინეს: 3. ალ. კუხიანიძემ საბჭოს წევრების წინაშე დააყენა პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო პროგრამის დოქტორანტ ჯაბა უროტაძისთვის პოლიტიკის მეცნიერების დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების საკითხი.

აზრი გამოთქვეს: პროფესორმა: მ. მაცაბერიძემ;

მ. მაცაბერიძემ განაცხადა, რომ იგი იყო ჯ. უროტაძის სადისერტაციო კომისიის ერთ-ერთი წევრი. დაცვამ ჩაიარა ყველა ნორმის დაცვით და, შესაბამისად, იგი თანახმაა, დოქტორანტს მიენიჭოს პოლიტიკის მეცნიერების დოქტორის აკადემიური ხარისხი.

დაადგინეს: „პოლიტიკის მეცნიერების" სადოქტორო პროგრამის 2017 წლის 15 თებერვლის სადისერტაციო კომისიის დასკვნის საფუძველზე, „პოლიტიკის მეცნიერების"' სადოქტორო პროგრამის დოქტორანტ **ჯაბა უროტაძეს** (თემა: „საქართველოს საპენსიო პოლიტიკა და მსოფლიო გამოცდილება" ხელმძღვანელები: პროფესორები ლაური ლეპიკი და კორნელი კაკაჩია; შეფასება summa cum laude) მიენიჭოს პოლიტიკის მეცნიერების დოქტორის აკადემიური ხარისხი.

მოისმინეს: 4. ალ. კუხიანიძემ საბჭოს წევრების წინაშე დააყენა კონფლიქტების ანალიზისა და მართვის სადოქტორო პროგრამის დოქტორანტ სოფიო გუგუნავასთვის სოციალურ მეცნიერებათა დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების საკითხი.

აზრი გამოთქვეს: პროფესორმა ალ. კუხიანიძემ და ნ. ბელქანიამ;

დაადგინეს: „კონფლიქტების ანალიზისა და მართვის" სადოქტორო პროგრამის 2017 წლის 15 თებერვლის სადისერტაციო კომისიის დასკვნის საფუძველზე, „კონფლიქტების ანალიზისა და მართვის"' სადოქტორო პროგრამის დოქტორანტ **სოფიო გუგუნავას** (თემა: „კონფლიქტი იაპონიის ჩრდილოეთ ტერიტორიების გარშემო: პრობლემები და გადაჭრის გზები"; სამეცნიერო ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი ნანა გელაშვილი; შეფასება rite) მიენიჭოს სოციალურ მეცნიერებათა დოქტორის აკადემიური ხარისხი.

მოისმინეს: 5. ალ. კუხიანიძემ საბჭოს წევრებს განუცხადა, რომ სადისერტაციო საბჭოში შემოსულია სოციოლოგიის სადოქტორო პროგრამის დოქტორანტის, მარინა ქევხიშვილის განცხადება მეორე ხელმძღვანელის დანიშვნის შესახებ. განცხადებას თან ერთვის სამეცნიერო ხელმძღვანელის, ასოცირებული პროფესორის მარინა ბურძენიძის და მეორე სავარაუდო ხელმძღვანელის თანხმობის წერილები. მეორე ხელმძღვანელად მ. ქევხიშვილი ითხოვს განისაზღვროს ჩრდილოეთ ტეხასის უნივერსიტეტის უფროსი ლექტორი რ. ჯეფერსონ ჯორჯი (განცხადებას თანხმობის წერილთან ერთად თან ერთვის რ. ჯეფერსონ ჯორჯის ავტობიოგრაფიული მონაცემებიც).

აზრი გამოთქვეს: ასოცირებულმა პროფესორმა ს. დუნდუამ.

ს. დუნდუამ საბჭოს წევრებს განუცხადა, რომ დოქტორანტ მ. ქევხიშვილს წინა სხდომაზე (იხ. 2017 წლის 12 იანვრის სხდომის ოქმი #1) არ დაუმტკიცდა მეორე ხელმძღვანელის დანიშვნის საკითხი, რადგან მას შეჩერებული ჰქონდა დოქტორანტის სტატუსი. ამჟამად, მ. ქევხიშვილს გააქტიურებული აქვს დოქტორანტის სტატუსი და, შესაბამისად, აღნიშნული ცვლილების განხორციელება სრულიად შესაძლებელია.

დაადგინეს: სოციოლოგიის სადოქტორო პროგრამის მეშვიდე სემესტრის დოქტორანტ მარინა ქევხიშვილის მეორე ხელმძღვანელად დაუმტკიცდეს ჩრდილოეთ ტეხასის უნივერსიტეტის უფროსი ლექტორი რ. ჯეფერსონ ჯორჯი.

მოისმინეს: 6. ალ. კუხიანიძემ საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ სადისერტაციო საბჭოში შემოსულია პოლიტიკის მეცნერების სადოქტორო პროგრამის დოქტორანტ გიორგი მელიქიძის სადისერტაციო ნაშრომი სათაურით: „პოლიტიკური კონსულტირება საქართველოში (მრავალპარტიული საარჩევნო კამპანიის ოცწლიანი გამოცდილების თვისებრივი ანალიზი)"; სამეცნიერო ხელმძღვანელი: პროფ. მ. მაცაბერიძე. საბჭოში შემოსულია პოლიტიკის მეცნიერების დარგობრივი სექციის ოქმი, რომლის მიხედვითაც სექცია ითხოვს გ. მელიქიძეს შემფასებლებად გამოეყოს:

ადგილობრივი შემფასებლები:

1. გიორგი გოგსაძე - პროფესორი, ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი; ტელ: 599 56 64 00; Email: giorgi.gogsadze@tsu.ge;
2. სალომე დუნდუა - ასოცირებული პროფესორი, ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი; ტელ: 599 31 43 45; Email: salome.dundua@tsu.ge;

უცხოელი შემფასებლები:

1. სვეტლიცინი როდიკა - დოქტორი, კიშინოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, მოლდოვა; Email: svetliciniirodica@yahoo.com
2. გრიგოლ უბირია - დოქტორი, ავსტრალიის ეროვნული უნივერსიტეტი, კანბერა, ავსტრალია; მიწვეული ლექტორი; Email: grigol.ubiria@anu.edu.au
3. სტივენ ჯონსი - Stephen F. Jones, Mount Holyoke College, Program in Russian and Soviet Studies, South Hadley, Massachusetts 01075-1461, USA. Tel: +1-4137 538-2648. Email: sfjones@mtholyoke.edu

აზრი გამოთქვეს: პროფესორებმა გ. გოგსაძემ და ზ. დავითაშვილმა;

დაადგინეს: პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო პროგრამის დოქტორანტ გიორგი მელიქიძის სადისერტაციო ნაშრომის: „პოლიტიკური კონსულტირება საქართველოში (მრავალპარტიული საარჩევნო კამპანიის ოცწლიანი გამოცდილების თვისებრივი ანალიზი)"; სამეცნიერო ხელმძღვანელი: პროფ. მ. მაცაბერიძე შემფასებლად დაინიშნონ:

ადგილობრივი შემფასებლები:

1. გიორგი გოგსაძე - პროფესორი, ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი; ტელ: 599 56 64 00; Email: giorgi.gogsadze@tsu.ge;
2. სალომე დუნდუა - ასოცირებული პროფესორი, ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი; ტელ: 599 31 43 45; Email: salome.dundua@tsu.ge;

უცხოელი შემფასებლები:

1. სვეტლიცინი როდიკა - დოქტორი, კიშინოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, მოლდოვა; Email: svetliciniirodica@yahoo.com

2. გრიგოლ უბირია - დოქტორი, ავსტრალიის ეროვნული უნივერსიტეტი, კანბერა, ავსტრალია; მიწვეული ლექტორი; Email: grigol.ubiria@anu.edu.au
3. სტივენ ჯონსი - Stephen F. Jones, Mount Holyoke College, Program in Russian and Soviet Studies, South Hadley, Massachusetts 01075-1461, USA. Tel: +1-4137 538-2648. Email: sfjones@mtholyoke.edu

გიორგი მელიქიძე სადისერტაციო საბჭოს დებულების **მე-11 მუხლის მე-6 პუნქტის** საფუძველზე გათავისუფლდეს შემდგომი სემესტრული რეგისტრაციისა და სწავლის გადასახადისგან.

მოისმინეს: 7. ალ. კუხიანიძემ სადისერტაციო საბჭოს წინაშე დააყენა დოქტორანტების ა) **საბაური შალვა** (სადოქტორო თემა: „სეპარაცია და ნაციონალური იდენტობის ჩამოყალიბება ინდოეთ-პაკისტანის მაგალითი, 1919-1947 წლები"; სამეცნიერო ხელმძღვანელი: რევაზ ჯორბენაძე; კონფლიქტების ანალიზისა და მართვის სადოქტორო პროგრამა, 2015-2016 წლების ჩარიცხვა; ბ) **ჯაფარიძე იოსები** (სადოქტორო თემა: „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს რეფორმა 2000-207 წლებში (მიღწევები და დაბრკოლებები); სამეცნიერო ხელმძღვანელი: პროფესორი რევაზ ჯორბენაძე, სადოქტორო პროგრამა „კონფლიქტების ანალიზი და მართვა", 2016-2017 წლების ჩარიცხვა); გ) **მელიქიშვილი ლელა** (სადოქტორო თემა: ნავთობის ფასების გავლენა რეგიონალურ კონფლიქტებზე; სამეცნიერო ხელმძღვანელი: პროფესორი გუგული მაღრაძე; სადოქტორო პროგრამა „კონფლიქტების ანალიზი და მართვა", 2016-2017 წლების ჩარიცხვა); დ) **ფანგანი ნუცა** (სადოქტორო თემა: „იძულებით გადაადგილებული პირები - მედიის მიერ შექმნილი დამოკიდებულებები და ეფექტები (993-2016 წლები); სამეცნიერო ხელმძღვანელები: ასოცირებული პროფესორები ნათია კუპრაშვილი და ხათუნა მაისაშვილი; „მასობრივი კომუნიკაციის" სადოქტორო პროგრამა; 2016-2017 წლების ჩარიცხვა); ე) **ქინქლაძე იოსები** (სადოქტორო თემა: დასახლებების მედეგობის კვლევა გეოსაინფორმაციო სისტემების გამოყენებით (წყალდიდობა-წყალმოვარდნების რისკების მაგალითზე") ხელმძღვანელები: პროფესორი იოსებ სალუქვაძე და ასოც. პროფესორი ვაჟა ტრაპაიძე, ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი; 2014-2015 წლების ჩარიცხვა)

აზრი გამოთქვეს: პროფესორებმა ზ. დავითაშვილმა, მ. მაცაბერიძემ, მ. გერსამიამ, გ. გოგსაძემ;

ზ. დავითაშვილმა განაცხადა, რომ დოქტორანტ შ. საბაურის თემის სათაური საჭიროებს კორექტირებას და უმჯობესი იქნებოდა მისი ამ სახით შესწორება: „სახელმწიფოებრივი იდენტობის ფორმირების საკითხი ბრიტანეთის ინდოეთში (1919-1947 წლები)"; მან, ასევე განაცხადა, რომ არ ეთანხმება დოქტორანტების ი. ჯაფარიძისა და ლ. მელიქიშვილის ნაშრომების მსგავსი სახით დამტკიცებას.

დაადგინეს: დაუმტკიცდეთ სადისერტაციო თემებად **ა) საბაური შალვა** (სადოქტორო თემა: „სახელმწიფოებრივი იდენტობის ფორმირების საკითხი ბრიტანეთის ინდოეთში (1919-1947 წლები)"; სამეცნიერო ხელმძღვანელი: რევაზ ჯორბენაძე; კონფლიქტების ანალიზისა და მართვის სადოქტორო პროგრამა, 2015-2016 წლების ჩარიცხვა) და ბ) **ფანგანი ნუცა** (სადოქტორო თემა: „იძულებით გადაადგილებული პირები - მედიის მიერ შექმნილი დამოკიდებულებები და ეფექტები (1993-2016 წლები); სამეცნიერო ხელმძღვანელები: ასოცირებული პროფესორები ნათია კუპრაშვილი და ხათუნა მაისაშვილი; „მასობრივი კომუნიკაციის" სადოქტორო პროგრამა; 2016-2017 წლების ჩარიცხვა); გ) **ქინქლაძე იოსები** (სადოქტორო თემა: დასახლებების მედეგობის კვლევა გეოსაინფორმაციო სისტემების გამოყენებით (წყალდიდობა-წყალმოვარდნების რისკების მაგალითზე") ხელმძღვანელები: პროფესორი იოსებ სალუქვაძე და ასოც. პროფესორი

ვაჟა ტრაპაიძე, ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი; 2014-2015 წლების ჩარიცხვა)

დოქტორანტების: ა) **ჯაფარიძე იოსები** (სადოქტორო თემა: „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს რეფორმა 2000-207 წლებში (მიღწევები და დაბრკოლებები); სამეცნიერო ხელმძღვანელი: პროფესორი რევაზ ჯორბენაძე, სადოქტორო პროგრამა „კონფლიქტების ანალიზი და მართვა", 2016-2017 წლების ჩარიცხვა); და ბ) **მელიქიშვილი ლელა** (სადოქტორო თემა: ნავთობის ფასების გავლენა რეგიონალურ კონფლიქტებზე; სამეცნიერო ხელმძღვანელი: პროფესორი გუგული მაღრაძე; სადოქტორო პროგრამა „კონფლიქტების ანალიზი და მართვა", 2016-2017 წლების ჩარიცხვა) სადისერტაციო თემის სათაურები საჭიროებენ მნიშვნელოვან კორექტირებას, შესაბამისად, მათი დამტკიცება გადაიდოს.

მოისმინეს: 8. ალ. კუხიანიძემ სადისერტაციო საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ პროფესორ მ. მაცაბერიძეს სურდა გარკვეული წინადადების შემოტანა.

მ. მაცაბერიძემ საბჭოს წევრებს განუცხადა, რომ მისი აზრით უმჯობესი იქნებოდა, თუ სადისერტაციო საბჭოს დებულებაში დისერტაციის დაცვის პროცედურებთან მიმართებით გარკვეული ცვლილებები შევიდოდა. მ. მაცაბერიძის განცხადებით, საბჭოს დებულების მიხედვით, რეცენზირების შემდეგ დისერტაცია გადის დაცვაზე, ყოველგვარი შესწორებების გარეშე. იქიდან გამომდინარე, რომ უცხოელი რეცენზენტების უმრავლესობა საკუთარ რეცენზიებში გამოთქვამს სურვილს - შემდგომში ნაშრომის გარკვეული ხარვეზების გამოსწორების თაობაზე - უმჯობესი ხომ არ იქნებოდა წინასწარი დაცვის პრინციპის შემოღება, რომლის შემდეგაც, დოქტორანტს მიეცემოდა საშუალება, გაესწორებინა შენიშვნების მიხედვით დისერტაცია.

აზრი გამოთქვეს: პროფესორებმა ზ. დავითაშვილმა, მ. გერსამიამ, გ. გოგსაძემ, ალ. კუხიანიძემ; ასოცირებულმა პროფესორებმა ს. დუნდუამ და მ. შამილიშვილმა;

მ. გერსამიამ განაცხადა, რომ მისი აზრითაც, ამ მხრივ საბჭოს დებულება გარკვეულწილად საჭიროებს გადახედვას, თუმცა, პრინციპი კარგად მოსაფიქრებელი და დასახვეწია. ს. დუნდუას აზრითაც, გარკვეული ცვლილებების განხორციელება ნამდვილად უმჯობესი იქნებოდა.

დაადგინეს: აღნიშნულ საკითხზე დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღების მიზნით, უმჯობესი იქნება საბჭოს წევრებმა ურთიერთთანამშრომლობის ფორმატში განაგრძონ მუშაობა და დასაბუთებული მოსაზრებების შემოთავაზების შემდეგ, იქნეს განხილული შემოთავაზებული წინადადებები.

ILIA STATE UNIVERSITY
FACULTY OF SOCIAL AND POLITICAL SCIENCES

სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე: ალექსანდრე კუხიანიძე, პროფესორი

სადისერტაციო საბჭოს მდივანი: სალომე დუნდუა, ასოცირებული პროფესორი

30 მარტი 2017 წ.

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის
სადისერტაციო საბჭოს წევრები

№	გვარი, სახელი	თანამდებობა	ხელმოწერა
1	ბელქანია ნოდარი	პროფესორი	
2	ბერძენიშვილი ამირანი	პროფესორი	
3	გაჩეჩილაძე რევაზი	პროფესორი	
4	გერსამია მარიამი	პროფესორი	
5	გოგსაძე გიორგი	პროფესორი	
6	დავითაშვილი ზურაბი	პროფესორი	
7	კაკაჩია კორნელი	პროფესორი	
8	კაპანაძე სერგი	ასოც. პროფესორი	
9	კაჭკაჭიშვილი იაგო	პროფესორი	
10	კუხიანიძე ალექსანდრე	პროფესორი	
11	ლორთქიფანიძე ვაჟა	პროფესორი	
12	მაცაბერიძე მალხაზი	პროფესორი	
13	მაღრაძე გუგული	პროფესორი	
14	ოსეფაშვილი დალი	პროფესორი	
15	სალუქვაძე იოსები	პროფესორი	
16	ჯორბენაძე რევაზი	პროფესორი	
17	აბაშიძე ზურაბი	ასოც. პროფესორი	
18	ასანიშვილი ფიქრია	ასოც. პროფესორი	
19	ბიჭიკაშვილი ირა	ასოც. პროფესორი	
20	ბოკერია მარინე	ასოც. პროფესორი	
21	ბურძენიძე მარინა	ასოც. პროფესორი	
22	გაფრინდაშვილი ლელა	ასოც. პროფესორი	
23	დოლბაია თამარი	ასოც. პროფესორი	

24	დონაძე ნათელა	ასოც. პროფესორი	
25	დუნდუა სალომე	ასოც. პროფესორი	
26	დურგლიშვილი ნინო	ასოც. პროფესორი	
27	ვაშაკიძე რუსუდანი	ასოც. პროფესორი	
28	თურმანიძე თორნიკე	ასოც. პროფესორი	
29	იაშვილი ია	ასოც. პროფესორი	
30	კუპრაშვილი ნათია	ასოც. პროფესორი	
31	მაისაშვილი ხათუნა	ასოც. პროფესორი	
32	მატარაძე თეონა	ასოც. პროფესორი	
33	მაჭარაშვილი ნანა	ასოც. პროფესორი	
34	მახარაძე თამარი	ასოც. პროფესორი	
35	მელიქიძე ვალერიანი	ასოც. პროფესორი	
36	პავლიაშვილი ნინო	ასოც. პროფესორი	
37	ჟორჟოლიანი გია	ასოც. პროფესორი	
38	საბედაშვილი თამარი	ასოც. პროფესორი	
39	სახვაძე ანზორი	ასოც. პროფესორი	
40	ტალახაძე ნანული	ასოც. პროფესორი	
41	ტორაძე მაია	ასოც. პროფესორი	
42	ქეცბაია კახა	ასოც. პროფესორი	
43	შამილიშვილი მანანა	ასოც. პროფესორი	
44	წერეთელი მარი	ასოც. პროფესორი	
45	წულაძე ლია	ასოც. პროფესორი	
46	ჭალაგანიძე ნინო	ასოც. პროფესორი	
47	ჯოლოგუა თამაზი	ასოც. პროფესორი	